№ 32
პარასკევი, 12 თებერვალი, 1899 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 32
პარასკევი, 12 თებერვალი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარია
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ქართველ-ქალთა ამხანაგობის

## სახელოსნო-სამკერვალო

(ბარონის ქუჩაზედ, თამამშოვის სახლებში № 12).

მსურველთ შეუძლიანთ განაცხადონ სურვილი იმისი, რომ პატარა ქალები მიაბარონ სასწავლებლად.

აქვე იღებენ შესაკერად ყოველგვარს ქალის ტანთ-საცმელს.

**ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი,**

აუწყებს რა გუბერნიის თავად-აზნაურთ, რომ 2 მარტს, შუადღის 12 საათზედ, მოხდება საადგილ-მამულო ბანკის სადგომში გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება, სთხოვს იმ თავად-აზნაურთ, რომელთაც უფლება აქვთ კრებაზედ მონაწილეობის მიღებისა (1876 წელს გამოცემ. კანონთა კრებულის მე-9 ტ. მე-98 მუხ.), მობრძანდნენ დანიშნულ დროს კრებაზედ.

**განსახილველი საგნები:**

1) როგორ უნდა განაწილდეს, ტფილისის სათავად აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წესდების მე-81 § თანახმად, რწმუნებულთა რიცხვი ტფილისის გუბერნიის მაზრათა შორის.

2. ტფილისის გუბერნიაში ერობის დაწესებულებათა შემოღების შესახებ.

3. იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებანი უნდა იქმნას ხმარებული ტფილისის გუბერნიის მიწების დამიჯვნის საქმის ასაჩქარებლად.

4. იმის შესახებ, რომ თავად-აზნაურობას სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში ნდობა ჰქონდეს და სესხის აღება შეეძლოს და ამ ბანკის თამასუქთა გამნაღდებელს კომიტეტში თავისი წარმომადგენლები ჰყავდეს და,

5) იმის შესახებ, რომ სასწავლებლებში მეფე ერეკლეს სახელობაზედ სტიპენდიები იქმნას დაწესებული.

(3—6.—1)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ხავასარდიანი, 11—12 საათ. ადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პრიტასკევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. 1¼—2¼ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ზ. ა. ნავასარდიანი—6½—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ)

ნოტარიუსის

ლევან მღებროვის

## კანცელარია

გახსნილ იქმნა ქალაქ ტფილისის პოლიციის მეოთხე განყოფილებაში, გურგენოვის სახლის ქვემო სართულში, № 2, ერევნის მოედანზედ, თამამშოვის ქარვასლის პირდაპირ, განოვისა და სოლოლაკის ქუჩების კუთხეში. ტელეფონი № 620. (30—6.—12)

ქ. ქუთაისი

ექიმი

## ნ. გ. ჭიჭინაძე

იღებს ავადმყოფებს

(ლევაშოვის ქუჩაზედ, პეტრე ხარაზოვის სახლში, № 13).

დილის 9—11 და საღამოს 4—6 საათამდის. ( —6.—9)

**მთავრობის განკარგულებანი**

—

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან, თავისისავე თხოვნით, ტფილისის საგუბერნიო სამმართველოს საქმის-მწარმოებელი თავ. ნიკოლოზ თუმანიშვილი.

## ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელმა გენერალ-ლეიტენანტმა ა. ა. ფრეზემ დაამტკიცა კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლოს განაჩენი შტაბს-კაპიტანის ვორონკოვის მოკვლის საქმის გამო. როგორც ვუწყით, სასამართლომ ერთს ბრალდებულს, უნტერ-აფიცერს ღოღობერიძეს ჩამორჩობა მიუსაჯა. ღოღობერიძეს ამ დღეებში ჩამოარჩობენ ქ. გორში.

*** ყორღანოვის მოედანზედ პატარა ბაღის გასაშენებლად ქალაქის გამგეობამ უკანასკნელ კრებაზედ დაადგინა გადასდოს 520 მანეთი.

*** მთავრობამ ნება დართო დაარსებულ იქმნას კავკასიაში „ამიერკავკასიის მანუფაქტურის სააქციონერო საზოგადოება“. ძირის თანხად საზოგადოებას 1,500,000 მანეთი აქვს.

*** განსვენებულის პლიუშჩევსკის მემკვიდრეთ შუამდგომლობა აღძრეს ტფილისის ოლქის სასამართლოს წინაშე იმის შესახებ, რომ დაჩქარებულ იქმნას განხილვა სადავო საქმისა, რომლითაც პლიუშჩევსკი თავად კ. ი. მუხრან-ბატონს 90,000 მანეთს ედავებოდა.

*** აზრადა აქვთ მომავალ მაისს დიდუბეში ცხენების იარმუკა გამართონ. ამის გამო კარგის ჯიშის ცხენის მიამშენებელ სახელმწიფო სადგურის ტფილისის განყოფილების ვიცე-პრეზიდენტმა მიჰმართა ქალაქის გამგეობას და სთხოვა აცნობეთ ეხლავე მაზრის უფროსებს და ქალაქის გამგეობებს, რომ მაისში იარმუკა იქმნება გამართულიო.

*** პეტერბურგიდგან გაზეთ „კავ.“-ს დეპეშით ატყობინებენ, რომ

## ფელეტონი

**ქუთაისის თავად-აზნაურობის თხოვნა ნაფიცთა მოსამართლეთა შემოღებაზედ.**

(დასასრული*)

ამ მოკლე ხანში ქუთაისის თავად-აზნაურთა საგუბერნიო კრებაზედ თავად-აზნაურობამ გადასწყვიტა სთხოვოს უმაღლესს მთავრობას, რომ მიენიჭოს ქუთაისის გუბერნიას სისხლის სამართალში ჰყავდეს ამორჩეულნი კაცნი—ნაფიცნი მოსამართლენი.**) ამ მშვენიერს და ჩინებულად დასაბუთებულს წერილში, ქუთაისის თავად-აზნაურობა უყურებს ამ საქმეს იმავე თვალით, როგორც ჩვენა გვქონდა ზემოდ ლაპარაკი.

ეს დარდგენილება, ანუ უკეთა ვსთქვათ წერილი (записка), სხვათა შორის, ეხება იმ აზრს, რომელიც წარმოითქვა სასამართლოს წესდების წერილებში შესახებ იმ ცვლილებებისა, რომელნიც მოახდინეს კავკასიის აქეთა მხარეს ამ წესდების შემოტანაში.

„სხვა გარემოებათა შორის, რომელნიც უშლიან კავკასიის აქეთა მხარეს ნაფიცთა მსაჯულთა სამართლის შემოღებას, წერილს (записка о прим. суд. уст. къ зак. кр.) მოჰყავს ისა,—ამბობს წერილი ანუ დარდგენილება ქუთაისის თავად-აზნაურთა,—რომ კავკასიის აქეთა მხარე არის დასახლებული სხვა-და-სხვა ხალხოსნობათაგან, რომელნიც არიან ერთმანერთის მტერნი. ეს რომ მართალი იყოს,—განაგრძობს ხსენებული დარდგენილება ქუთაისის თავად აზნაურთა,—რატომ არა ავნორა ამგვარმა სამართალმა ბესარაბიის გუბერნიაში მცხოვრებთ ერთა, სადაც ეს სამართალი შეიტანა მთავრობამ 1869 წ.? ეს გუბერნია არის შემდგარი სხვა-და-სხვა ერთაგან: აქ სცხოვრობენ მოლდაველნი, რუსნი, ბინადარნი და მაწანწალა ბოშანი (цыгане), სერბნი, ბოლგარნი, სომეხნი, ნემცები, ებრაელნი და სხვა. მაგრამ ამან საქმეს-კი არ ავნო, პირ-იქით ჩინებულად შეითვისა ეს იქაურმა ხალხმა და ისეთივე დიდი ნაყოფი მოუტანა ამ მხარეს, როგორც რუსეთის იმ გუბერნიებში, სადაც მარტო ერთი ტომის ხალხით არიან დასახლებულნი.“

მაშასადამე თვით რუსეთშივე თვალისწინა გვქონია მაგალითი, რომ არც ერთი ერი არ დაღუპულა იქ, სადაც შეუტანიათ ერობა, ნაფიცთა მსაჯულთა სამართალი, და პირიქით, ამ საქმეთა დიდი ნაყოფი მოუტანიათ ყველა ამ ერთათვის.

მაგრამ ჩვენი გულისშემატკივარნი არ დასჯერდნენ მარტო იმ საბუთს, რომ სხვა ერებთან ერთად საზოგადო საქმე და საზოგადოდ თავის მოვლა დაგღუპავთო. იმათ მოიტანეს სხვა მრავალი საბუთებიც. სხვათა შორის საქვეყნოდ აღიარეს, რომ აქ თვით-მართველობისა, საერო სასამართლოს შემოტანა შეუძლებელია, რა-კი არ არის ხალხი განვითარებული (некультурный), არ არის შეგნებული, აქვს წამხდარი აზრი და შეხედულობა ცუდს საქმეებზედ და დანაშაულობაზედ: ის გასდევს სისხლის აღებას, ავაზაკობას, ძარცვას, ქურდობას, ქალების ტაცებას და სხვა ამგვარებიო. ცხადია, ხალხს რომ მიენდოს ამგვარი საქმეების გარჩევა, ის არ დასჯის დამნაშავეთა და დანაშაული უფრო იმატებს, უფრო გავრცელდებაო.

ამაზედ ქუთაისის თავად-აზნაურობა იძლევა შემდეგს პასუხს. ის ჯერ ლაპარაკობს ქართველების შესახებ და ამბობს:

„ქართველი ხალხი არ თანაუგრძნობდა ამ გვართა საქმეთა. ის იქამდის იყო გონებითა და ზნეობით განვითარებული, რომ ყოველთვის შეეძლო შეეწყნარებინა და შეეთვისებინა უმაღლესი და უწმინდესი სამართალი. მინამ საქართველო შეუერთდებოდა რუსეთს, მანამდისაც საქართველოში, როგორც სხვა ქვეყნებში, დამნაშავენი ეძლეოდნენ სასჯელს, ჰხდებოდათ თავისი დანაშაული. არას ოდეს არა ყოფილა, რომ ქართველობას კარგი თვალით ეცქირნოს და სიძულვილი არ გამოეჩინოს ავაზაკობისა, ქურდობისა, მტაცებლობისა, სისხლის აღებისა და სხვა ამგვარი საქმეებისთვის.

დაასაბუთებს რა ამ აზრს, წერილი გადადის საერთოთ ყველა კავკასიის ერებზედ და ამბობს.

„ავაზაკობა, რომელიც ვრცელდება სხვა კავკასიის ადგილებში, იმისი მიზეზი კი არ არის, რომ აქაურნი მცხოვრებნი თანაუგრძნობდნენ და ცუდსა და თავისთვის საზარალო საქმეს არა ჰხედავდნენ ამაში. მიზეზი ამისი არის ზემოთ აღწერილი გარემოება (დასაბუთებული იყო ზემოდ დღევანდელი აქაური სასამართლოებისა გარემოებასთან შეუხამებლად მოწყობა.) მცხოვრებნი სრულებით მოკლებულნი არიან ძალასა და უფლებას ებრძოლონ ამ ბოროტებას, ამ საქმით ყველაზედ მეტად არიან დასჯილნი და დაღუპვილნი ეს ხალხნი. ხალხი დრტვინავს, ჰღელავს ამ ბოროტების წინააღმდეგ და ძალა-კი არ უჭირავს ხელთა უპატრონოს თავს, მოუღოს ბოლო ბოროტებას. ცხადია, ესენი რომ შეუშვათ ნაფიც მსაჯულებად სასამართლოებში, ისინი არ შეარჩენდნენ დამნაშავეთ თავის შეწუხებას და არც დაემალებოდათ დამნაშავენი, რადგან ისინი კარგად იცნობენ, ვინც ამათ შორის არის ბოროტის მომქმედი“.

სხვა გარემოებათა შორის, თუ რაოდენად არის საჭირო ჩვენში ნაფიცთა მსაჯულთა სასამართლო, ქუთაისის თავად-აზნაურობა ამბობს შემდეგს.

„ვისაც უდევნებია გონება ჩვენის სასამართლოებისათვის, უეჭველია ცხადათ ექნება შენიშნული, რომ ეს, ვითომც და ცოცხალი სიტყვისა ღია მოქმედების სამართალი დარჩა იმავე ძველ სასამართლოდ, რომელიც იყო აგებული ფორმალიზმზედ, სასამართლოდ გაუთავებელის წერისა და საქმის წარმოებისა; გადიქცა კანცელარიად, რომელიც, თვითონ კი არ ასამართლებს საქმეს, უმზადებს მასალას და ქაღალდებს, რომ საქმე გაათავოს ამათზედ ზევით მდგომმა სასამართლოებმა. ეს ამათზედ მაღლა მდგომი სასამართლონიც სწყვეტამენ სამართალს ცოცხალის სიტყვისა და აზრის მოსმენით-კი არა, ცოცხლად საქმის დანახვით კი არა, არამედ თავის განაჩენს ამყარებენ სეკრეტრებისაგან შემდგარს ქაღალდებზედ, ხშირად იმგვართა სეკრეტართაგან შემდგარს ქაღალდებზედ, რომელთაც არც კი ესმით რიგიანად საქმე, არცა აქვთ მომზადება და ცოდნა ამ დიდის საქმისა, და ამასთან ამყარებენ განაჩენს მოენეთა თარგმანებიდამ, იმგვარი უშვერი მოენეთა თარგმანებიდამ, რომელთაც არც რუსული და არც სხვა ენები არ იციან. და ამიტომ ხდება, რომ ხშირად ჰგზავნიან

*) იხ. „ივერია“ № 31.

**) იხილე „прибавл. къ № 5148 „Нов. Обозр.“

კავკას-ის მთავარ-მართებლის საჰქოს წევრი იაკიმოვი, თავისისავე თხოვნით, დათხოვნილ იქმნა თანამდებობიდგანაო.

*** მიწად მოქმედების სამინისტრომ, „კავკ.“-ს სიტყვით, აცნობა კავკასიის მთავარ-მართებელს, რომ ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ-ინება და ნება დართო უსასყიდლოდ გატანილ იქმნას სახელმწიფო აგარაკიდგან საჭირო ჭიგო და წნელი თელავის მაზრაში მდ. ჩელთის ნაპირების გასამაგრებლად.

*** როგორც „ტფილ. ფ.“ იუწყება, ქუთაისის გუბერნატორის შუამდგომლობის გამო, მიწად-მოქმედების სამინისტროს აზრადა აქვს გამართოს ქუთაისის გუბერნიაში გამოსაცდელი მინდორი მეთამბაქოობისა.

*** როგორც „ტფ. ფურ.“ იუწყება, ტფილისის გუბერნატორი თ. ა. ბიკოვი პეტერბურგიდგან 20 თებერვალს ჩამოვა.

*** გაზ. „ახ. მიმ.“-ს პეტერბურგიდგან ატყობინებენ: დანიშნულ იქმნენ მომრიგებელ-მოსამართლის თანაშემწეებად: ზისერმანი—ქალაქ ტფილისის მეორე განყოფილებისა; გელოვანი—ჯევათის განყოფილებისა, სალიანის საგამომძიებლო ნაწილის გამგედ; კაპერნიკოვი—ზუგდიდის განყოფილებისა, ცალენჯიხის საგამომძიებლო ნაწილის გამგედ.

*** სოფ. ქრისტიანა, (კავკავის მაზრა). ამ სოფელში საოფლე და ყელჭირვება მძვინვარებს და შესამჩნევს ზარალსაც აძლევს მცხოვრებთ.

2 იანვარს ამავე სოფელში მოხდა ერთი სამწუხარო ამბავი: ამ სოფელში მცხოვრების თემირჩი აბაევის თექვსმეტის წლის ვაჟი დამბაჩას ჰსინჯავდა. საბრალოს გატენილი არ ეგონა. დამბაჩას ჩახმახი აუწია, იგრიალა, ტყვია ხახაში მოხვდა, ენის ძირში გაიარა და კეფაში დადგა. არდონიდგან ექიმიც მოიწვიეს, მაგრამ ველარა უშველა-რა. მესამე დღეს გარდაიცვალა.

*** ფრანგმა ვ. ტიბომ სთხოვა კავკასიის სოფლოქსურ. კომიტეტს, ნება მომეცით საფრანგეთიდგან გამოვიწერო 40 ათასი ვაზი ქუთაისის გუბერნიაში, ჩემს მამულში გასაშენებლადაო.

*** რიყის სახლის-პატრონთა იმ თხოვნის გამო, რომ ჩვენ დაგვსვების გარდასახადი ნაკლები დაგვკისრეთ, რადგანაც უოველ წელიწადს მალიან გვზარალობს წყალ-დიდობისაგანაო,— ქალაქის გამგეობამ დაადგინა დაავალოს საავჭრო სამეურნეო პოლიციის უფროსს ზედამხედველს ბ-ნ ჯაბადარს აღნიშნოს ის ადგილები რიყისა, რომელსაც წყალ-დიდობა ზარალს მიაყენებს ხოლმე.

*** ფინანსთა სამინისტრომ გადასდო 5,500 მანეთი ტფილისის სახაზინო პალატის სადგომის ერთის შენობის შესაკეთებლად, სადაც აზრადა აქვთ არხივი მოათავსონ.

*** პირველ მარტიდგან საქარის ამიერკავკასიის გზის სადგურში დაიწყობა მიღება იმათი, ვისაც სურს იქ არსებულ კურსებზედ შესვლა.

*** გაზაფხულზედ სახელმწიფო თეატრში წარმოდგენებს გამართავს ხარკოვის დრამატიული დასი. წარმოდგენების გამართვას დაიწყებენ 19 აპრილიდგან. დასი დარჩება ტფილისში ივნისის გასვლამდე. დასში რამდენიმე ცნობილი არტისტია, როგორც, მაგალითად, ქ-ნნი სტროევა-სოკოლოვსკაია, დნეპროვისა, პეტიპა, ველიზარია, ბ-ნნი პეტიპა, შუვალოვი, სამოილოვი და სხვანი.

*** 9 თებერვალს ტფილისის პირველის ნაწილის მომრიგებელმა მოსამართლემ გაარჩია საქმე ე. მარდანოვისა, რომელსაც ის ბრალი ედებოდა, რომ საჭირო ზომები არ მიიღო ყვავილის გავრცელების წინააღმდეგაო. მარდანოვს ეზოში გადაუყრია ბამბა, რომელიც ყვავილიან ბავშვს ედო თურმე და თუმცა პოლიციას მოუთხოვნია ამ ბამბის ეზოდგან წაღება, მაგრამ მას არ აღუსრულებია. მოსამართლემ დამნაშავედ სცნო მარდანოვისა და მიუსაჯა მას 100 მ. ჯარიმის გარდახდა, ხოლო თუ ეს ფული ვერ გადაიხადა 20 დღით დაპატიმრება.

*** გუშინ, 11 თებერვალს, პოლიციამ აღმოაჩინა ერთი დანაშაულობა, რომელიც ნათელსა ჰფენს იმას, თუ ავაზაკები სად და როგორ შოულობენ ბერდანის თოფის ტყვიებს. საღამოთი, ტფილისიდგან ბაქოში მატარებლის წასვლის წინად, ქალაქის მე-10 ნაწილის პოლიციის გამგეობაში შევიდა ორი იჯარადარი, რომელნიც წყლის მილის გაყვანის საქმეს ადგანან, და გამოაცხადეს, რომ ერთ გამოშვებით ვიღაც გვპარავს ხოლმე ტყვიის მილებს. ამასთან დაუმატეს გავიგეთ, რომ ეს მილები დღეს მატარებლით გაგზავნილი იქმნება ბაქოშიო. მაშინვე რკინის გზის სადგურზედ გაგზავნეს პოლიციის მოხელე და თან ის ორი იჯარადარიც გააყოლეს. პოლიციის მოხელე და იჯარადრები სადგურზედ სწორედ იმ დროს მოვიდნენ როდესაც საქონელი ვაგონებში შეჰქონდათ და მოპარული მილებიც იქ აღმოჩნდა. ზოგი მილი დამტვრეული აღმოჩნდა, ზოგიც გადადუღებული. მილების გამგზავნი აღმოჩნდა ქ. შუშის მცხოვრებელი ორი თათარი. როდესაც იმათი სადგომი გაჩხრიკეს, იპოვნეს 70 ფუთამდე ტყვიის ნივთი, მოპარული ამიერ-კავკასიის რკინის გზის სახელოსნოდგან და 3 ტომარა, რომელშიაც ბერდანის გასროლილი ტყვია იყო 25 ფუთამდე. იქვე იპოვნეს მრავალი გადადუღებული ტყვია და აგრეთვე თოფის წამლის საზომები და სხვა და სხვა მოწყობილება თოფის ტყვიის მოსამზადებლად. პოლიციამ შესაფერი ოქმი შეადგინა და თათრები შეიპყრო.

## დაბალ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**კალაგონი და ჩოჟეთი,** (გურია). საზოგადოდ ცნობილია, რომ პირველ დაწყებით სკოლებისა და სამკითხველოების სიმრავლით და რიგიანად მოწყობით გურიამ რამდენისამე ნაბიჯით გაასწრო საქართველოს სხვა კუთხეებს. სამწუხაროდ, ეგევე არ ითქმის კალაგონისა და ჩოჟეთის შესახებ. ამ სოფლებში რომ მიბრძანდეთ, ვერ იფიქრებთ, თუ ესენი გურიას ეკუთვნის. შეხედავთ ქალურს ბავშვებს თუ არა, მაშინვე დარწმუნდებით, რომ იმათ აღზრდისთვის არავინ იზრუნებს ყურს. სწორედ დაობლებულია აქაური ბავშვები—არა ჰყავთ მეორე აღმზრდელი დედა—სკოლა. ეს სოფლები გურიაზედ მოშორებულია, სადღაც მთაში არის მიმალული. აგრეთვე სწავლა-განათლების მხრივაც დაშორებულნი არიან ისინი გურიის სხვა სოფლებს. კალაგონსა და ჩოჟეთში სამრევლო სკოლები გახსნილა, მაგრამ მარტო სკოლების კედლებს რომ რამე შესძლებოდა, ყველანი თავ-თავიანთ სახლებს სკოლებს დაუარ-ქმევდით. სკოლები არის, მაგრამ სწავლება მიძინებულია ამ სკოლებში. ამ სკოლებში ჰგზავნის მასწავლებლებს ოზურგეთის სამასწავლებლო საბჭო, მაგრამ იშვიათად გამოდგება იმათში ისეთი მასწავლებელი, რომ ნახევარ წელიწადზედ მეტი დაჰყოს აქ; მიზეზი ამისი ის გახლავთ, რომ ეს სოფლები მეტის-მეტად ღარიბია და მასწავლებლებს ჯეროვანს ვერ აძლევენ; ეს უკანასკნელნიც შიმშილს ვერ უძლებენ და უდროოდ გარბიან.

კალაგონსა და ჩოჟეთში ისე ცოტა ხალხი სცხოვრობს და ამასთანავე ისე ახლო-ახლოს არის ერთი-მეორეზედ, რომ ორი სკოლის შენახვა აქ საჭირო არ არის, თუ არ უნდათ, რომ ორივე უნაყოფოდ დარჩეს. ამ ორი სოფლის გაყოფა სწავლა-განათლების მხრივ მავნებელია, რადგანაც ცალ-ცალკე არც ერთს მათგანს არ შეუძლია სკოლის შენახვა. ამიტომ უმჯობესი იქმნება, და ეს მოუცილებელ საჭიროებასაც შეადგენს, ამ სოფლებმა შეაერთონ თავისი სკოლები. ეს ადვილადაც შეიძლება, თუ შრომას არ დაზოგავს ოზურგეთის მაზრის სამრევლო სკოლების მეთვალყურე მამა სოლომონ ანდღულაძე, რომლის წყალობით ოზურგეთის მაზრაში სამრევლო სკოლები თანდათან ძლიერდება. იმედია, რომ ამ ორ სოფელსაც არ დაივიწყებს მამა სოლომონი: მიბრძანდება იქ, მოახდენს ყრილობას და ხალხს დაიყოლიებს სასარგებლო საქმეზედ. ამასთანავე დროა მიაქციონ ყურადღება თავ-თავიანთ სამწყსოს ამ ორი სოფლის მღვდლებმა და შემწეობა აღმოუჩინონ მამა მეთვალყურეს, თუ უნდათ, რომ მათი მრევლის ბავშვები თითით საჩვენებელი არ გახდნენ.

წარსულის წლის ნოემბრის 21-ს, ქ-ნ კეკელა ხუნდაძის თაოსნობით, აქაურ სცენის მოყვარეთა მიერ გაიმართა აქ წარმოდგენა აქაურ სკოლების სასარგებლოდ. შეკრებილა რვა მანეთი შენასხული გახლავთ. რამდენიმე თვე იქნება მას შემდეგ, რაც ბ-ნ სილოვან თ. ხუნდაძემ შემოსწირა კალაგონს ოც-და-ხუთი მანეთი და ასი ცალი საუკეთესო ქართული წიგნები. ფული სკოლას მოხმარდება და წიგნები ახარია ქ-ნს კეკელა ხუნდაძისას, რომელიც დაუზარებლად დაემებს მკითხველებს და სცდილობს შეაყვაროს იმათ წიგნების კითხვა.

ს. კე—ლაშვილი

## წერილი შელკოზავოდსკიდგან

(სარაფანი. თერგის ოლქი).

ისეთი უბედური წელიწადი, როგორც ჩვენთვის იყო 1898 წ., არავისთვის არ იქნებოდა. იგი იყო შე-

---

კატორგაში სრულიად მართალთა, და ამართლებენ ყოვლითურთ დამნაშავეთა, უბრუნებენ ავაზაკთ უკან შეწუხებულს და მათგან აკლებულს ხალხს ახალი დანაშაულისა და ახალი ბოროტისთვის“.

უკეთესს ნიმუშსაო, ამბობს ეს წერილი, თუ რა ნაყოფი მოიტანა ამ საფუძველ გამოთხრილმა სასამართლოებმა, გვიჩვენებსო ცრუ მოწმობა სასამართლოებში, რომელიც თითქმის საზოგადო სენათ გადიქცაო. გარდა იმისა, რომ ეს ცრუ მოწმობა და ცრუ ფიცი ჰყრყვნის ზნეობით ხალხსა, უკარგავს სასოებას, აქედამ წარმოსდგაო ის, რომ მოსამართლენი აღარ ენდობიან მოწმეებს და ხალხი სამართალს. ცხადიაო, რომ ეს ხალხის უნდობლობა სამართლისა, საშინელს უსასოებას ჰბადებს ხალხში, და ხალხი ეძლევა სასოწარკვეთილებას, უიმედობას, რომ აღადგინოს თავისი შელახული უფლება, უპოვოს თავის თავს სამართალი. არც მოსამართლენი არიანო ამაში გასამტყუნარნი, რათგან ისინი არ არიან ადგილობრივი საზოგადოების შვილნი, არ იცნობენ არც ერს, არც საზოგადოებას, არც პირთ, რომელნიც იმ საზოგადოებას შეადგენენ და რომელთაც ესენი ასამართლებენ. ამიტომ იძულებულნი არიან ბრმათ დაემონონ მას, რასაც მოხერხებული და გაოსტატებული კაცი წარმოადგენს სას მართლის წინაშე. მწერლობა კიო, —ამბობს ეს თავად-აზნაურობის დადგენილება ანუ წერილი,— ამ ცრუ მოწმობის აღორძინებაში ბრალსა სდებსო, უწესოთ მოწყობილს და ჩაჭრილ-ჩაკვეცილს სასამართლოს კი არა, ხალხსაო, ხალხის თვისებას, ხალხის ზნეობასო. ამიტომ მწერლობა თხოულობსო, რომ მთავრობამ მიიღოს სასტიკი ზომები ცრუმოწმობის წინააღმდეგაო. მწერლობას რომ ღრმათ ჩაეხედნა საქმეში და სისწორით აეწონა საქმე, მაშინ სხვა აღმოჩნდებოდა. მიზეზი ამ ბოროტების გაძლიერებისა არისო, ამბობს წერილი, უბრალო ბუნებრივი კანონი: რისაც მოთხოვნილებაც არის, ის იშობება და გაძლიერდებაო. დღევანდელი სასამართლოების მოწყობილება ისეთია, რომ ეძლევა გზა და ძალა ცრუმოწმობას.

„ავიღოთ მაგალითად,—ამბობს წერილი,—რუსეთის შიდა გუბერნიები. იმ გუბერნიებში, სადაც სასამართლოები არიან იმ წესით, რა წესითაც ჩვენში, ესე იგი, არა ჰყავთ ნაფიცნი მსაჯულნი, ჩვენზედ უარესად არის გავრცელებული ცრუმოწმობა; და იქ კი, სადაც სასამართლოებში შემოღებულია ნაფიცთა მსაჯულთა სამართალი, ცრუ მოწმობა მოსპობილია, რადგან ამ სენს არა აქვს იქ გასავალი. აგრეთვე არ არის ცრუ მოწმობა არც კავკასიის იმ ადგილებში, სადაც მოსამართლეებად არიან ადგილობრივი ხალხის წარმომადგენელნი. არამც თუ ცრუ მოწმობა არ არის და გაგონებათაც არ იციან ესა, თვით ბოროტმოქმედებაც და დამნაშავენიც ბევრად ნაკლებნი არიან იმ კავკასიის ადგილებში, სადაც საეროვნო სასამართლოებია, ვიდრე იქ, სადაც სახელმწიფო (коронный) სასამართლოებია შემოღებული. მაშასადამე, მიზეზი ხალხის ბუნება-კი არა ყოფილა, მიზეზი ჰბუდობს თვით დღევანდელი დასახიჩრებული სასამართლოების წესწყობილებაში. რომ ეს არ იყოს მიზეზი, რატომ არ იჩინა თავი ამ სენმა მეფე ვახტანგის კანონების დროს, არამედ აღორძინდა და თანდათან გაძლიერდა ახალი სასამართლოების შემოღების ხანაში?..“

მოჰყავს რა მრავალი სხვა საბუთი ახალის სასამართლოებისგან თავის მოვალეობის ვერ მიწდომისა, წერილი ამბობს:

„ყველა ესე ხდება იმიტომ, რომ გამოუთხარეს საძირკველი ალექსანდრე II სასამართლოთა წესდებათ, საძირკველი, რომელიც იყო აგებული მეცნიერების ძალით, იყო აღიარებული უმაღლეს სამართლის ფორმად, და სხვ., – დამახინჯებული, უსაფუძვლო მოგვახვიეს თავსა...

„ყველა აქედამ ცხადია,—განაგრძობს წერილი, — რომ სისხლის სამართალი ჩვენში წარმოადგენს ჩვენთვის დიდს უბედურობას. და რომ მოისპოს ასრე გაუთავებელი საქმის წარმოება, უაზრო და სავნო ფორმალიზმი, შემცირდეს ბოროტება და დამნაშავეთა რიცხვი, მოისპოს ცრუ-მოწმობა,—საჭიროა შეიცვალოს წეს-წყობილება დღევანდელი სასამართლოებისა, მის ნაცვლად დაარსდეს სასამართლო უფრო სრული და განვითარებული“.

სისხლის სამართალი ჩვენში მოიტანს ჯეროვანს ნაყოფს მაშინაო, ამბობს წერილი, როდესაც ჩვენშიაც სასამართლოებში იქნებიან მიწვეულნი ხალხიდამ, ადგილობრივი მცხოვრებლებიდამ ამორჩეულნი ნაფიცნი მოსამართლენიო. ამათ არ დაემალებათ არც დამნაშავე და ნამდვილი შემცოდე, არც მართალი და უცოდველი კაცი, არც ცრუ მოფიცარი და მოწამე, არც მართალი და ნამუსიანი კაცი. ერთის სიტყვით, ამათ იციან თავისის ქვეყნისა, თავისი ალაგისა ყველა, ავიცა და კარგიცა, და ვერც ცრუ-მოწმობა, ვერც მოხერხებულად მოწყობილი საქმე ამათ ვერ შეიყვანს შეცდომაშიაო. აქ, უეჭველია, მოისპობა ცრუ მოწმობა, აღდგინდება სიმართლე, იკლებს დანაშაული და ბოროტებაო...

ჩვენ ძალიან შორს წაგვიყვანდა, რომ შევხებოდით ყველა იმ მხარეს და საბუთებს, რომელთაც ეხება ხსენებული წერილი ქუთაისის თავადაზნაურთა. ჩვენ ყველა მკითხველს ურჩევთ იშოვნოს ეს წერილი, რომელიც გამოვიდა ზემოხსენებული დამატებით „Нов. Обозр.“ და წაიკითხოს. ეს წაკითხვა დაანახვებს ყველას, რაოდენი სიცრუეა იმ ქადაგებაში, რომელიც იტყვის: აქ ჯერ ადრეა ესა და ამგვარი წყობილებაო. ისეთი ცხადი და მტკიცე საბუთებით არის შემუშავებული და შევსებული ეს წერილი, რომ მისი წაკითხვის უკან ეძებ და ვერა ჰპოულობ, რაღა ეთქმის მის წინააღმდეგს, თუ ის უყურებს საქმეს მართალი გულით და არა ბოროტ-განზრახვით. ეს წერილი მოგაგონებთ იმ ჩინებულს წერილებს, რომელნიც წარმოადგინეს სამღვდელოებამ და სხვა იმ კომისიის წევრთა, რომელიც იყო შემდგარი სამეგრელოში სამღრთო წერილის და წირვა-ლოცვის მეგრულს ენაზედ შესატანად. თქვენ გაგაგონებთ იმ ჩინებულს და მართლაც მეცნიერულად და ღრმა ცოდნით დასაბუთებულს წერილს, რომელიც ამ კომისიაში წარადგინა ბლაღოჩინმა მამა გაწერელმა, წერილით თვითონ ეპისკოპოს გრიგოლისას და სხვათა. ჩვენ მხოლოდ გვსურდა გაგვეზიარებინა მკითხველისათვის ის შთაბეჭდილება, რაც მოახდინა ჩვენზედ ქუთაისის თავადაზნაურთა წერილმა და გვეჩვენებინა, რომ ღირსია ის წერილი გაცნობისა. მეტადრე ეხლა საჭიროა გაცნობა ამ წერილისა, რადგან ამ დღეებში იქნება საგუბერნიო კრება თბილისის თავად-აზნაურთა შესახებ ერობისა და აქვე შეგვიძლიან ვისარგებლოდ ამ ჩინებული წერილით და ვითხოვოთ თბილისის თავად-აზნაურთა ნაფიცთა მსაჯულთა სასამართლოების შემოღება ჩვენს სასამართლოებშიც.

ანტონ ფურცელაძე

მკული ყველაფრით: მოუსავლობით, წყალ-დიდობით, კაცის კვლით, ავადმყოფობითა და ქურდობით.

ვენახებმა მოსავალი არ მოგვცა, რადგანაც თერგმა წაგვილეკა და გაგვიხმო, ჭირნახულზედაც უკაცრავად დაგვრჩა შარშანდელი წლიწადი, თუმცა ქვავმა უკეთესი მოსავალი მოგვცა სხვა ჭირნახულთან შედარებით. აქაური ყაზახები, ნახევარზედ მეტი, ნაყიდის პურითა სცხოვრობენ. უჭირნახულობა აიტანოს კაცმა, თუ კაცის საშინელი მშუსრავი სენი. შემოდგომასა და გაზაფხულზედ იყო აქ საშინელი ციებ ცხელება, რომელმაც მრავალი ბავშვი იმსხვერპლა. ეხლა ამას ზედ დაერთო კიდევ ყელის ტკივილი, ანთება და ჭვალი. 1898 წ. იანვარში აქ იყო 651 კაცი და ქალი. წელს ეს რიცხვი ბევრით შემცირდა. გარდაიცვალა 63 სული, დაიბადა 20.

ზამთარი აქ, წინა წლებთან შედარებით, უფრო თბილია. ჯერ წინა წლებში ნოემბრიდგან მოკიდებული კარგად გაჩაღებული თოვლიან-სიცივიანი ზამთარი ყოფილა; ეხლა-კი მშვენიერი მზიანი დღეებია. მოდის ხშირად წვიმა, რომელმაც საშინლად გააფუჭა სასიარულო გზები. ასეთი თბილი ზამთარი ძალიან უხარიანთ თუშებს, რომელნიც საზამთროდ არიან მოსული აქ და სხვა სტანიცებშიაც თავიანთი ცხვრებით. ცხვარი იკვებება მინდორში ბალახით; თივა თითქმის არავის არ უყიდნია. ცხვარი ჰყავთ სუქნად და დაუზიანებლად, მხოლოდ საწყლები რუსულის ენის უცოდინარობით ბევრსა ჰზარალობენ. ამათ მიერ იჯარით აღებულ ადგილზედ უძოვებიათ ცხვარი და თივა დაუხარჯავთ რუს მეცხვარეებს. თუშებმა დააწერინეს არზა და 200 მან. ზარალი იჩივლეს ყიზლარის მომრიგებელ სასამართლოში. მოსამართლეს გამოურთმევია არზა, წაუკითხნია, მერე უკითხნია თუშებისთვის რაღაცეები, თუშებს რუსულის ენის უცოდინარობის გამო ვერ უპასუხნიათ. მოსამართლის თარჯიმანსაც არა სცოდნია ქართული. მოსამართლეს, იმის მაგივრად, რომ ეპოვნა ქართულის ენის მცოდნე და იმის შემწეობით თუშების საჭიროება გამოერკვია, დაუწყია საწყლებისთვის ფეხების ბრახუნი და უკან გადმოუგდია თხოვნა.

მთხოვნელები სტანიცის სასამართლოშიაც ვერას აწყობენ რუსულის ენის უცოდინარობისა გამო. სარაფანში დაბინავებულ თუშებს დაჰკარგვოდათ ცხენი. მოვიდა ერთი მათგანი სტანიცაში და დაუძახა თავისთან ახალგაზდა ქართველ ყაზახს: „ბათხო აქ მოი." ყაზახმა უთხრა: „ვერ მოვალ, ბიძია, მეშინიან არ მცემო!"—აქ მოი, თორე შეგაშინებ! ყაზახი მივიდა.—ულაყი დამეკარგა, ამბობს თუში, წამო, ატამანს გამოუცხადოთ! „რა არის ულაყი?" ეკითხება გაოცებული ყაზახი. ბათხო, როგორ არ იცი? და მოჰყვა თუშიც ახსნას...

— ჰა, ეხლა კი ვიცი! იაღრი დაგიკარგავს („იაღრი" ნოღურად ულაყი ცხენია. აქაური ქართველები მშვენივრად ლაპარაკობენ ნოღურად და კალმუხურად და იმათ სიტყვებსაც ხშირად ჰხმარობენ ქართულის ლაპარაკის დროს). გამოუცხადეს ატამანს, მაგრამ რა გამოვიდა: დღესაც დაკარგულია ეს ცხენი. უნდა შევნიშნოთ, რომ აქ თუ დაიკარგა რამე, ძნელად თუ იპოვნიან. შეიძლება იპოვნოს პატრონმა, მაგრამ შიშით ვერ გამოუცხადებია ქურდი, რადგანაც დარწმუნებულია. რომ ამითი ბევრს იზარალებს; ქურდი ამას არ აპატიებს; დაბეზღებისათვის მთლად გაჰქურდავს და, თუ ჩაიხელებს, კიდეც მოჰკლავს. წინად ქურდობა აქ ასეთი საზარალო არა ყოფილა, როგორც ეხლა. პატრონი, როგორც იქნებოდა, კვალს იპოვნიდა; რომელ თათრის სოფელზედაც ეს კვალი მივიდოდა, იმ სოფელს ან უნდა ქურდი ეპოვნა, ან დანაკარგი ეზღო. ეხლა ეს კანონი მოსპეს. სანამ ქურდს ნამდვილად არ შეიტყობ, ვერ უჩივლებ. ქართველებმა აქ სხვა წამალი იციან ქურდობის წინააღმდეგ „შეკრევინება", ეს ის არის, რომ შეალოცინებენ და ქურდი ადგილიდგან ველარ დასძრავს საქონელს.

მ. შატბერაშვილი

# რუსეთი

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საყოველთაო მიწერილობა გაუგზავნა გუბერნატორებს შესახებ იმისა, თუ ვის უნდა ემორჩილებოდნენ და ვის ბრძანებას უნდა ასრულებდნენ ის მასწავლებელნი, რომელნიც ქალაქების მიერ დაარსებულ პირველ-დაწყებით სასწავლებლებში ჰმსახურობენ. დღემდის, როგორც ვუწყით, ქალაქის სკოლების მასწავლებელთ ჰნიშნავს და ითხოვს ქალაქის თვით-მმართველობა. ერთსა და იმავე დროს ასეთ მასწავლებლებს ორი მთავრობა ჰყავს, რომელთაც უნდა ექვემდებარებოდნენ: ქალაქის თვით მართველობა, ან იმის ის დაწესებულება, რომელიც სკოლების საქმეს განაგებს და სახალხო სკოლების დირექცია; რის გამო ხშირად უთანხმოება ხდება. ხშირად, მაგალითად, დირექცია დროებით ითხოვს მასწავლებელს სადმე წასასვლელად, ქალაქის თვით-მმართველობა-კი ამის ნებას არ აძლევს. ეხლა, როგორც სამინისტროს მოწერილობა იუწყება, ასეთი სასწავლებლების მასწავლებელნი უნდა ექვემდებარებოდნენ მხოლოდ სახალხო სკოლების დირექციას; ამ დირექციაზედ არის დამოკიდებული როგორც მასწავლებლების მიღება, აგრეთვე მათი დათხოვნა; ქალაქის თვით-მმართველობამ-კი მხოლოდ ქონებრივი მხარე სკოლებისა უნდა განაგოს.

# უცხოეთი

**საფრანგეთი და ინგლისი.** ერთს ფრანგს წერილი გაუგზავნია ბანერმანისათვის—ინგლისის სალიბერალო დასის ახალ ლიდერისათვის. იმედი გამოუთქვამს, რომ ბანერმანი ეცდება მოისპოს ყოველგვარი უთანხმოება ინგლისსა და საფრანგეთს შორისო. ბანერმანი მადლობას უხდის ხსენებულ წერილის ავტორს და შემდეგ ამბობს:

„დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ყოველივე ღონისძიებას ვიხმარ, რომ, როგორც წინად, ისე მომავალშიაც, ორთავე ქვეყნის მთავრობას ერთმანეთთან საუკეთესო დამოკიდებულება ჰქონდეთ. მე ვამბობ „ორთავე ქვეყნის მთავრობას", რადგან საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ორი ხალხი ერთმანეთს გადაემტერება, და ამ მხრივ არავითარი შიში არ არსებობს. მაგრამ მთავრობათა შორის ხშირად იმ დროსაც-კი, როცა ერთმანეთისათვის კეთილის მეტი არა სურთ-რა, უსიამოვნება იბადება. ამ ჟამად ყველაფერს მშვიდობიანობის ელფერი ადევს, და მე ჭეშმარიტად მრწამს, რომ ყველა უთანხმოება ორთავე ქვეყნის სასიამოვნოდ დასრულდებაო".

იმედი ბანერმანისა არ გამართლდა. ფაშოდის გამო ნატკენი გული ცოტაოდნად გაიგრილა საფრანგეთმა, მაგრამ როგორც დეპეშამ ამბავი მოიტანა 10 თებერვალს, ეხლა ისევ გამოუტყდა უსიამოვნება ინგლისთან. საქმე ის არის, რომ არაბეთის ერთ პატარა ქვეყნის, მუსკატის, სულთანმა ქვა-ნახშირის საწყობი ადგილი დაუთმო საფრანგეთს ზღვის პირას. ინგლისის მთავრობას არაფრად ეჭაშნიკა ეს და მუსკატის მეფეს დაემუქრა, რომ უარი თუ არ შეგითვლია საფრანგეთისათვის, უმბარებს დავიშენს ჩემი გემებიო. მუსკატის ხონთქარი ადგა და შეუთვალა საფრანგეთს, რომ მართალია დაგითმე ზღვის პირას ადგილი, მაგრამ რადგან ინგლისს ეწყინა ეს, ნურას უკაცრავად, დანაპირებს ვერ შეგისრულებო. რაღა თქმა უნდა, ეს გარემოება ხელახლა გაამწვავებს ამ ორ დიდ სახელმწიფოთა შორის დამოკიდებულებას. ამნაირად გამოდის, რომ ინგლისი სიტყვით კი მეგობარია მეზობლისა, მაგრამ როცა საქმე საქმეზედ მიდგება, თავისას თავის მეტი აღარავის ახსოვს.

—

**იტალია.** მარკიზ დი რუდინის გაზეთში, „Opinione"-ში წერილი არის დაბეჭდილი სამთა კავშირის წინააღმდეგ. ამ გაზეთის უფროს რედაქტორად არის ამ ჟამად დი-რუდინის მდივნად ნამყოფი—სილვაჯი, როცა პირველი იტალიის მთავარ-მინისტრად იყო, და ამიტომ ხსენებულს წერილს ისე უნდა შევხედოთ, როგორც მთელის დასის აზრს. „Opinione"ს წერილში რამდენიმე კითხვაა იმის შესახებ, თუ რა სარგებლობა მოუტანა იტალიას სამთა კავშირმა. მას შემდეგ, რაც იტალია დაუკავშირდა გერმანიას და ავსტრო-უნგრეთს, ყველა შემთხვევაა ჩამოთვლილი, რომელთაც იტალიის ერისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა, და გაზეთი იმ დასკვნამდე მიდის, ამ კავშირს იტალიისათვის ზარალის მეტი არავითარი სარგებლობა არ მოუტანიაო.

წერილის ბოლოში ავტორი ამბობს, რომ, სამწუხაროდ, სანამ ვადა არ გასვლია ამ კავშირს, მანამდის ძალა-უნებურად პატივისცემით უნდა ვეპყრობოდეთ მას, მაგრამ როცა ვადა გაუვა, მერმე ძალას ველარავინ დაგვატანს, ჩვენს შვილებს და შვილი-შვილებს ანდერძათ დავუტოვოთ იგიო.

—

**შეერთებული შტატები.** ესპანიასთან ომის დროს, სამხედრო უწყების ზოგიერთ მოხელეს რამდენიმე ბოროტმოქმედება დაჰბრალდა. ამ ბოროტმოქმედების გამოსაძიებლად მაკ-კინლეიმ კომისია დანიშნა, რომელმაც ამ დღეებში გამოაქვეყნა თავისი მოხსენება. კომისია სრულებით ვერ ამართლებს, მაგრამ სულ ცოტაოდნად მაინც სდებს ბრალს მაკ კინლეის მეგობარს, სამხედრო მინისტრს ოლჯერს, რომელსაც ოპოზიცია და გაზეთები ყველაზედ მეტს ბრალსა სდებდნენ. სამაგიეროდ კომისიის მოხსენებაში გაკიცხულია მთავარ-სარდალი მაილსი, რომელიც საინტენდანტოს აბრალებდა, რომ ჯარს უვარგისს ხორცს უგზავნიდაო. გაზ. „Times"-ის ნიუ-იორკელ კორესპონდენტის სიტყვით, კომისია მოწადინებულია გაამართლოს ყველა დამნაშავე.

## სასამართლოს მატიანე

მევახშეთა კ. ნ. პოლონსკისა და ნ. დ. გვარამაძის საქმე.

ოლქის სასამართლომ ამ საქმის განხილვა დაიწყო 10 თებერვალს. თავმჯდომარეობს სასამართლოს წევრი ვ. ვ. ბოლდირევი, წევრებად არიან. ა. ი. ბოგაევსკი და საპატიო მომრიგებელი-მოსამართლე ოდნოსუმოვი. ბრალსა სდებს ბრალმდებლის ამხანაგი ა. კრასოვსკი.

ბრალდებულთა სკამზედ სხედან სტატსკის სოვეტნიკის ცოლი ვერა ნიკოლოოზის ასული პოლონსკისა და ტფილისის სამაზრო მმართველობის თარჯიმანი ნ. დ. გვარამაძე. ვექილებადა ჰყავთ: პირველს ნაფიცი ვექილი არწრუნი, მეორეს ნაფიცი ვექილი პახომოვი. 45-მდე მოწმეა დაბარებული.

საბრალმდებლო ოქმი აი რას გვამცნევს: ბრალდებულს ქ ნს პოლონსკის ტფილისის მომრიგებელ-სასამართლოებში რამდენიმე დავა დაუწყია თამასუქებითა და საჯარიმო ვალდებულებით, რომელთა განხილვის დროსაც ბრალდებულს გვარამაძეს ვექილობა უკისრია; მოპასუხეებად უმეტესს შემთხვევაში ყოფილან შუათანა და დაბალის ხარისხის მოხელენი და ტფილისში დაბანაკებულ ჯარების აფიცრები. თურმე ყოველი მოპასუხე იმასა სჩიოდა, რომ ბრალდებული ქ ნი პოლონსკისა მეტის-მეტ სარგებელს გვახდევინებდა, ორჯელ გვართმევდა ფულსაო, მაგრამ ეს ჩივილი, დაუმტკიცებლობის გამო, ყოველთვის უყურადღებოდ იყო ხოლმე დატოვებული მოსამართლეების მიერ.

1896 წელს ქ ნმა ზომბერგმა პოლონსკის მევახშეობის ბრალი დასდო და რამდენისამე ათასი მან. დავა აუტეხა. ამ საქმის განხილვის დროს გამოირკვა, რომ ბრალდებული ქ-ნი პოლონსკი დიდი ხანია მევახშეობდა და ყოველთვის ამ რიგად იქცეოდა: როდესაც მიჰმართავდნენ ფულის სასესხებლად პირველში იგი ცოტაოდენს ფულს აძლევდა და წელიწადში 36%-ს ახდევინებდა, ამასთან თავისის ფულის უზრუნველსაყოფელად 5—6 თვის ვადის თამასუქს ართმევდა და სარგებელს ამ თავით ურიცხავდა გასასესხებელ ფულიდგან. უფრო გაჭირებაში აგდებდა იგი მევალეს, თუ ვინმე დახანებას, ან ახალს სესხსა სთხოვდა. ამისთანას იგი, 36% გარდა, რომელიც ადრევე ჰქონდა გამორიცხული, ართმევდა კიდევ საჯარიმო ვალდებულებას და ჯარიმად ფულის დროზედ გარდუხდელობისათვის წაღებულ სესხის ოდენას უწერდა, ან უფრო ერთი ორად მეტს და ხანდახან იმისს ბარათს ართმევდა, რომ ვითომ ფული შესანახად მოგაბარეო. იყო ისეთი შემთხვევაც, რომ ფულის მსესხებელი მარტოოდენ ხელს უწერდა თურმე თამასუქის ქაღალდზედ, ხოლო თვით თამასუქს-კი შემდეგ სწერდა ქ-ნი პოლონსკი და ვალის რაოდენობასაც თითონ აღნიშნავდა ხოლმე; ამას გარდა, ქ ნი პოლონსკი ამასაც არა კმარობდა და თხოულობდა, რომ რამდენსამე კაცს ეკისრა ვალის თავდებობა ერთმანერთის პასუხის-მგებლობით.

იშვიათად იყო, რომ მსესხებელს ვალი დროზედ გარდაეხადნა; მაშინ დავას აუტეხავდა ხოლმე თამასუქითა და ჯარიმის ვალდებულებით და მერე მთელის წლობით მცირე ჯამაგირიდგან ფულს უჭერდა მოხელეებსა და აფიცრებს.

რაც შეეხება სასამართლოში აღძრულ საჩივრებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქ-ნი პოლონსკისა სცდილობდა ერთსა და იმავე სასამართლოში ბევრი საქმე არ მომიგროვდესო, და ვისაც ფულს ასესხებდა, წინადვე ართმევდა პირობას, ამა და ამ სასამართლოში გიჩივლებ, თუ ვალი დროზედ არ გადამიხადეო.

ისეც მომხდარა, რომ მსესხებელს დროზედ მიუტანია ფული, მაგრამ ქ-ნი პოლონსკისა სხვა-და-სხვა რამეს მოიმიზეზებდა და სხვა დღეს დაუნიშნავდა. კაცს დანიშნულ დროზედ მოჰქონდა ფული, მაგრამ ქ-ნი პოლონსკისა ან სახლში არ დაუხვდებოდა, ან ეტყოდნენ, აქ აღარა სცხოვრობს; გადავიდა და არავინ იცის, ეხლა რომელ სახლში სცხოვრობსო. თამასუქს ვადა გაუვიდოდა და მერე ქ-ნი პოლონსკისა სასამართლოში იჩივლებდა და დროზედ ვალის გადაუხდელობისათვის ჯარიმას ართმევდა.

ვინც-კი მისულა ქ ნ პოლონსკისთან ფულის სასესხებლად, ყველას უნახავს იმის სახლში ბრალდებული გვარამაძე, რომელსაც ქ ნი პოლონსკისა ასე გააცნობდა ხოლმე: „სიყრმიდგან ერთადა ვართ შეზრდილნიო". გვარამაძე დიდს მონაწილეობას იღებდა ქ-ნ პოლონსკის ყველა საქმეში, აუხსნიდა ხოლმე მსესხებლებს იმ პირობებსა, რა პირობითაც შეიძლებოდა ვალის აღება, სწერდა კიდეც ამ პირობებსა და თამასუქებს; იგივე გვარამაძე კისრულობდა ქ ნ პოლონსკის მაგიერად მევალეებთან მიწერ-მოწერას, და აწარმოვებდა სასამართლოებში ქ-ნ პოლონსკის საქმეებს. როცა ქ-ნ პოლონსკის ფული არა ჰქონდა გასასესხებელი, გვარამაძე თავისს ფულს აძლევდა.

ქ-ნ პოლონსკის თავისს ანგარიშებისათვის მთელი ბუჰალტერია ჰქონდა, რომელსაც გვარამაძე თითონ აწარმოებდა; ერთი ამ გვარი წიგნი გამომძიებელმა იპოვნა პოლონსკის სახლში. ამ წიგნში ყოველივე ანგარიში წესიერად და რიგზედ აღმოჩნდა ჩაწერილი და ამ ანგარიშიდგანა სჩანს, რომ ქ ნი პოლონსკისა სასტიკი და შეუბრალებელი მევახშე ყოფილა. მთელი წიგნი სავსეა ამ გვარ სხოლიოებით: „ამა და ამ კაცს მიეცა 300 მანათი 6 თვის ვადით, მივიღეთ 40 მან. სარგებელი, ამა და ამ კაცს მიეცა 60 მან. იმავე ვადით, მივიღეთ 11 მან. სარგებელი" და სხვ. აქედგანა სჩანს, რომ არც ერთისათვის არ უსესხებიათ ფული უიმისოთ, რომ 30%-ი სარგებელი არ გამოერთვათ. აფიცერმა მ—ვმა სთქვა, რომ 1893 წელს გაზაფხულზე ექვსის სხვა აფიცრის თავმდებობით ვისესხე 350 მანეთი და იძულებულ ვიყავი 700 მანათის თამასუქი მიმეცა და თუ ვალს დროზე არ გავისტუმრებ-

დი, ჯარიმაც გარდამეხადაო. წიგნში ეს სესხი ასეა ჩაწერილი: „მ—ეს, შ—ეს და სხვებს 1893 წლის 16 აპრილის თამასუქით მიეცათ—350 მან., მივიღეთ სარგებელი 63 მან.“ ამით მტკიცდება, რომ ქ-ნი პოლონსკისა მ—ს 136%-ს ართმევდა წელიწადში.

საბრალმდებლო ოქმში ჩამოთვლილია 125 კაცზედ მეტი, რომელნიც იძულებულნი იყვნენ თურმე ფული ძლიერ დიდის სარგებლით ესესხნათ ქ-ნ პოლონსკისაგან. ეს გარემოება ქ-ნ პოლონსკის წიგნში ჩაწერილ ცნობებიდგან მტკიცდება.

ბრალდებულთა წინააღმდეგ აღძრულია რამდენიმე სამოქალაქო დავა და მოდავეთა შორის ერთი 10,750 მანათს ედავება ქ-ნ პოლონსკის.

ბრალდებულთ თავიანთი თავი დამნაშავეებად არ აღიარეს. საღამოს 7 საათზე სასამართლომ დაიწყო მოწმეთა ჩვენების ჩამორთმევა. ამ მოწმეთა ჩვენებიდგან ახალი არაფერი აღმოჩნდა.

ბრალმდებელის ამხანაგი კრასოვსკი ამტკიცებდა, ორივე ბრალდებული ყველაფერში არიან დამნაშავენი, რაც საბრალმდებლო ოქმში სწერიაო და ორთავენი ასტრახანის გუბერნიაში უნდა გაიგზავნონ საცხოვრებლადაო. საქმის გარჩევა გადაიდვა შემდეგის დღისათვის.

განაჩენს სასამართლო დღეს, 12 თებერვალს, გამოაცხადებს და მაშინ ვაცნობებთ ჩვენს მკითხველებს.

---

## დამაკვირდი

სათნო კაცსა განუღოს უფალმა საუნჯე კეთილი: ცამან მისცეს მას წვიმა ჟამსა თვისსა; უფალმან აკურთხოს ნაშრომნი მისნი, განამრავლოს საქონელნი მისნი. იყავნ ცოლი მისი ვითარცა ვენახი მსხმო და შვილნი მისნი ვითარცა ახალნერგნი ზეთის ხილისანი.

მეფე ალექსანდრე I.

* * *

რაც ჩემის ხელით გამოვა, უსასყიდლოდ არ მივცემ არც ჩემს შვილსა და არც ნათესავს.

მამა-ჯვარელი წულუკიძე ნიკოლოზ

* * *

მტერთა მტერნი კიყვნეთ და ერთგულთა მოყვარენი, მლოცველნი, მემღვნენი, მოსაგრენი.

კუმურდოელი იოანე ლასურიძე.

---

## ჟურნალ-გაზეთებიდგან
(ამოკრებილი ამბები)

გაზეთებში დაიბეჭდა კრასნოიარსკიდგან (ციმბირშია) გამოგზავნილი დეპეშა, რომელიც იუწყება, რომ ციმბირში ერთს ადგილას იპოვნეს სამის კაცის გვამი და ამბობენ, შესაძლებელია ეს გვამები ანდრესი და იმის ამხანაგებისა იყოსო.

ეხლა ყველა მეცნიერის თვალნი მიქცეულია ციმბირისაკენ და იქიდგან ელოდებიან იმის შეტყობას, მართლა დაიღუპნენ ანდრე და იმისი ამხანაგები, თუ შესაძლებელია ჯერ ცოცხალნი იყვნენო.

შვეციის ელჩმა დეპეშა გაგზავნა შვეციაში და მისწერა, რომ პეტერბურგის საგეოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარე იმ აზრისაა, რომ შესაძლებელია მართლა ეპოვნათ სამის კაცის გვამი, მაგრამ ის-კი მეტად საეჭვოა, რომ ეს გვამები ანდრესი და იმის მეგობრებისა იყოსო, პარიჟელი ჰაერო ნავტი ლაშამბრი ამტკიცებს, რომ ყოვლად შეუძლებელია ანდრეს ჰაეროსტატი იმ ადგილას მისულიყოს, რომელიც ნაჩვენებია კრასნოიარსკიდგან გამოგზავნილ დეპეშაშიო.

შვეციის მეცნიერები ამტკიცებენ, ეს ამბავი მოგონილი უნდა იყოსო, რადგანაც შეუძლებელია, რომ ანდრესი და იმის ამხანაგების გვამები მთელ ორ წელიწადს ხელუხლებელი დარჩენილიყო: სადაც ხალხი არა სცხოვრობს, იქ ბევრი ნადირია, რომელიც ხელ-უხლებლად არ დასტოვებდა გვამებს.

განსაკუთრებით საყურადღებოა აზრი ისეთის მოგზაურისა, როგორიც არის ნანსენი. ნანსენი ამტკიცებს, შეუძლებელია, რომ ანდრეს ჰაეროსტატს ისეთი დიდი მანძილი გაევლოს და არავის დაენახოს იმ ქვეყანაში, სადაც ხალხი მუდამ ზეცას შესცქერის და სცდილობს ცის ფერისა და მზის მიხედვით შეიტყოს ხოლმე როგორი დარი დადგება და რა დრო არის.

ნორდშელდიც ნანსენის აზრისაა და ამბობს, ანდრეს შესახებ ერთად ერთი უტყუარი ცნობა გვაქვს, რომელიც მტრედმა მოიტანაო.

მტრედის მიერ მოტანილ ბარათიდგან-კი სჩანს, რომ ჰაეროსტატი ჯერ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიდიოდა და მერე ქარმა ჩრდილოეთიდგან სამხრეთისაკენ დაუბერაო.

ანდრეს დედამა და იმისავე საცოლემ არ იციან ეხლა რა იფიქრონ. იმათი მდგომარეობა უფრო სამწუხაროა იმის გამო, რომ ზოგიერთ კაცებს სულელურ ხუმრობისათვის მიუყვიათ ხელი. ანდრეს დედასა და საცოლეს რამდენჯერმე მიუღიათ პირდაცმული ბოთლი, ვითომ და ანდრეს მიერ გამოგზავნილი ბარათით. არ ახადონ ბოთლს და არ წაიკითხონ ბარათი ხომ არ შეიძლება, იქმნება მართლა ანდრესაგან გამოგზავნილი ბარათიაო, ჰფიქრობენ, წაიკითხავენ და რწმუნდებიან მხოლოდ, რომ ჯერ კიდევ ბევრი სულელი კაცი ყოფილა ქვეყანაზედ, რომლებიც დასცინიან სხვის უბედურებას.

ამ უკანასკნელ დროს ასეთი ყალბი ბარათი ვიღასაც ჰამბურგიდგან გაუგზავნია და დამნაშავენი სამართალში იქმნებიან მიცემულნი.

---

# დეპეშა

9 თებერვალი

**პარიჟი.** სოციალისტებისა და რადიკალების გაზეთები აცხადებენ, რომ ლუბეს ეპისტოლესი ჩვენ დიდად კმაყოფილი ვართო.

**მადრიდი.** სენატში ალმენასმა ხელ-ახლა განაგრძო გენერლების გაკიცხვა, რამაც ყვირილი და ხმაურობა გამოიწვია. კამპოსმა წინააღმდეგობა განაცხადა. საგასტა მთავრობის პოლიტიკას იცავდა და სთქვა, რომ დიდად ვწუხვარ ალმენასის მოქმედების გამოო. კრება დასრულდა.

**ვაშინგტონი.** ოტისი დეპეშით იუწყება, რომ მანილიაში სრული მშვიდობიანობააო. მეამბოხეთა მცირე რაზმი, რომელიც ქალაქის აღმოსავლეთით იყო გამაგრებული, გუშინ განდევნილ იქმნა. რაზმი შესამჩნევად დაზარალდა.

**პარიჟი.** დღეს ლუბე მიიღებს უცხო-სახელმწიფოთა მისსიებს, რომელნიც პარიჟში მოვიდნენ ფორის გვამის დასაფლავებაზედ დასასწრებლად.

დღეს მთავრობამ ხელთ ჩაიგდო 10,000 მედალი, რომლებზედაც ჰერცოგ ორლეანელია გამოსახული.

სასტიკი ზომები იქმნა მიღებული, რათა ხვალ, დასაფლავების დროს, მანიფესტაციები არ მოხდეს.

11 თებერვალი

**ლონდონი.** იუწყებიან, რომ სამეფო ხომალდს „ოსბორნ“-ს ებრძანა პორტსმუტიდგან გენუაში წასვლა. იქ ხომალდში ჩაჯდება უელსის პრინცესა ქალითურთ და კუნძულ კრიტზედ წავა, სადაც ბატონიშვილს გეორგს ინახულებს, შემდეგ ათინაში წავა საბერძნეთის მეფის სანახავადაო.

**პარიჟი.** პეტერბურგის ჟურნალ-გაზეთობის დელეგატებმა—პავლოვსკიმ, ხუდეკომ, პავლენიმ, სემენოვმა, დიმიტრიევმა და რაპოპორტმა ფორის კუბოს გვირგვინი დაადვეს. გვირგვინის შავს არშიას ოქროს ასოებით აწერია: „ფელიქს ფორს—პეტერბურგის რუსული ჟურნალ გაზეთობა“.

**პარიჟი.** უცხო-სახელმწიფოთა მისსიები, ფორის დასაფლავებაზედ დასასწრებლად მოსულნი, დღეს, ნაშუადღევის შემდეგ იყვნენ გარეშე საქმეთა სამინისტროში, სადაც წარსდგნენ დელკასეს წინაშე. რამდენისამე წამის შემდეგ მისსიების წარმომადგენელნი დარბაზში შეიყვანეს, სადაც ლუბე იყო. დელკასემ წარუდგინა პრეზიდენტს ყველანი. პრეზიდენტი თვითეულს რამდენსამე წუთს ესაუბრა. საკუთრებით გულით ესაუბრა რუსეთის, გერმანიის და იტალიის მისსიების წარმომადგენელთ და დესპანებს.

**მადრიდი.** ლინარესმა სეკუნდანტები გაუგზავნა ალმენას, იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი გენერლებსა ჰკიცხავდა.

**მადრიდი.** სენატის კომისია, რომელმაც ფილიპინების დათმობის საქმე უნდა განიხილოს, შესდგება 7 წევრისაგან, ამათში 4—სამინისტროს სამხრეა, 3—ოპოზიციისა.

**პარიჟი.** „ჰავასის სააგენტო“ იუწყება, რომ „პატრიოტთა ლიგამ“ მოითხოვა, ადგილი მოგვეცით დამარხვის პროცესიაშიო, მაგრამ საბჭოს პრეზიდენტმა შესაძლებლად არ სცნო დაკმაყოფილება იმ კაცების თხოვნისა, რომელნიც კონსტიტუციის წინააღმდეგ მოქმედებენ და რომელთა მეთაურმა და რამდენმამე უმთავრესმა წევრმა შეურაცხმყოფელის სიტყვებით მიჰმართეს რესპუბლიკის პრეზიდენტსაო.

---

# განცხადებანი

**ტფილისის სათავად-აზნაურო სააღგილ-მამულო ბანკის გამგეობა** ამით აცხადებს, რომ 1899 წელს, 19 **თებერვალს**, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ, თავადაზნაურთა სახლში, მოხდება **მეორე და უკანასკნელი საჯარო ვაჭრობა**, ვაჭრობის განუმეორებლად, ქვემო ჩამოთვლილ მამულებისა, რომელნიც 1899 წელს 3 თებერვალს მომხდარ საჯარო ვაჭრობის დროს არ გაყიდულა:

სოფლის მამულები:

ჯორჯაძესი, თავ. მიხეილ ნოდარის ძის და კონსტანტინე სოლომონის ძისა (შეძენილი საჯარო ვაჭრობის დროს, რომელიც 1893 წელს 21 ოქტომბერს მოხდა, თავ. ნოდარ მიხეილის ძის ჯორჯაძის მიერ): ვენახი, მიწა ზომით 3 დეს. 2160 ოთხ-კ. საჟ. ტფილისის გუბ., თელავის მაზ., სოფ. საბუეში. თავნი ვალი 2000 მან., შესატანი გარდასახადი 308 მან. 58 კაპ., სულ 2308 მან. 58 კაპ. ს

გოცაშვილისა, სოლომონ გიორგიძისა: სახნავი მიწები და ვენახი, მიწა ზომით 1 დესეტინა, ანუ რამდენიც აღმოჩნდება, ტფილისის გუბ., გორის მაზ., სოფ. დღვრისში. თავნი ვალი 68 მან., შესატანი გარდასახადი 9 მან. 96 კაპ., სულ 77 მ. 96 კაპ. (1—6.—1)

---

# ანგარიში

ტფილისის სასოფლო სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისა.

1 იანვრისათვის 1899 წლისა.

**აქტივი.**

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. კასსა (სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები) . . | | 25006 | 23 |
| II. მიმდინარე ანგარიშები: ტფილისის საკომერციო ბანკში . . . . . . . . . . . . . | | 4214 | 03 |
| III. „ „ „ა. ფრიდონოვისა და ამხ.“ საბანკო კანტორაში . . . . . . . . . | | 16953 | 77 |
| IV. სარგებლიანი ქაღ., საზოგადოების საკუთვნონი. | | 1603 | — |
| V. სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი . . . . . . . . . | | 2317 | 25 |
| VI. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცს უწერია ხელი . . . . . . . . . . . | | 203976 | — |
| VII. გირაოთი გაცემული სესხი: | | | |
| ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ. ფას. ქაღალ. . . . . | 7100— 74 | | |
| ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღალ. | 8699— 20 | | |
| გ) საქონელზედ . . . . . | 19233— — | | |
| დ) სასოფლო სამეურნეო ნაწარმ. | 6195— 65 | 41228 | 59 |
| VIII. დასაბრუნებელი ხარჯი . . . . . . . . | | 177 | 62 |
| IX. მოწყობა-მომართვა . . . . . . . . . | | 812 | 09 |
| X. გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი . | | 262 | 38 |
| XI. სხვა-და-სხვა დებიტორები . . . . . . . | | 371 | 83 |
| XII. საზოგადოების საკუთარი სარგებლ. ქაღალდები. | | 16 | 30 |
| XIII. გარდასაკემი თანხა . . . . . . . . | | 368 | 55 |
| XIV. მიმდინარე ხარჯი . . . . . . . . . | | — | — |
| XV. პროტესტში წასული თამასუქები . . . . . . | | — | — |
| ს უ ლ | | 297307 | 64 |

**პასსივი.**

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 681 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულიდგან. . . . . . . . . . . . | | 72088 | — |
| II. სათადარიგო თანხა (შემდგარია 1898 წელს). | | 2457 | 58 |
| III. შემოტანილი ფული: | | | |
| ა) მიმდინარე ანგარიშით . . . | 117065—76 | | |
| ბ) ვადით . . . . . . . . | 94630—— | | |
| გ) უვადოდ . . . . . . . . | 700—— | 212395 | 76 |
| IV. გარდასაცემი თანხა . . . . . . . . . . | | 1498 | 71 |
| V. გარდასახდელი სარგებელი . . . . . . . . | | 1335 | 25 |
| VI. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა . . . . . . . . . . . | | 196 | 21 |
| VII. სარგებელი განსაკუთრებულის მიმდინარე ანგარიშისა აზოვო-დონის საკომ. ბანკ. განყოფილებაში. | | — | 35 |
| VIII. წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ-მოთხოვნილი საზოგადოების წესდების მე-12 და 13 §§-ის თანახმად . . . . . . . . . . . . | | 500 | — |
| IX. წმინდა მოგება 1898 წ. . . . . . . . . . | | 6835 | 78 |
| ს უ ლ | | 297307 | 64 |
| პასუხის-მგებლობა 681 წევრისა 10%-იან შემოსატანს გარდა . . . . . . . . | | 648792 | — |
| საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება . . . . . . . . . . | | 3900 | — |
| თამასუქები საკომისიოდ . . . . . . . . | | 750 | — |

(1—6.—1)

**საზოგადოება იხდის:** მიმდინარე ანგარიშზედ შემოტანილ ფულისას 3%, უვადოდ შემოტანილისას—2%, 6 თვის ვადით შემოტანილისას—4%, წლისა და მეტის ვადით—5½%; **ახდევინებს:** თამასუქის განაღდებით ექვსის თვის ვადამდე გაცემულ ფულისას—9½%, ვადიან ქაღალდებისა, კუპონებისა და სხვათა განაღდებით გაცემულ ფულისას—6%, სესხით გაცემულისას: ა) %-იან ქაღალდზედ 6%. ბ) საქონელსა და სასოფლო ნაწარმოებზედ—9%, თუ საგანცებო მიმდინარე ანგარიშით არის გატანილი და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილის ქაღალდების გირაოზედ—7%, არა-უზრუნველ-ყოფილ ფასიან ქაღალდების გირაოზედ—7½%, თამასუქების გირაოზედ—9½%-ს.